თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს

2014 წლის 28 მარტის სხდომის ოქმი #5

სხდომას ესწრებოდნენ: ფაკულტეტის დეკანი ასოც. პროფ. თ. ბერიძე; ფაკულტეტის საბჭოს მდივანი, ასოც. პროფ. ხ. ბარბაქაძე; ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი – 25, სტუდენტები – 7, სულ – 32 წევრი.

დღის წესრიგი

1. სასერთიფიკატო ტრენინგ-კურსის „ლიდერობა-მართვის ხელოვნება“ პროგრამის დამტკიცებისა და მისი ამოქმედების მიზანშეწონილობის შესახებ (იხ. დანართი)
/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

2. თსუ რექტორის 2013 წლის 25 ნოემბრის #151/01-01 ბრძანების შესაბამისად, ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სტუდენტთა ყოველწლიურ სამეცნიერო ფორუმზე წარდგენილი მოხსენებების შერჩევა ღია კენჭისყრის გზით.
/მომხს. ფაკულტეტის დეკანი თ. ბერიძე/

3. მიმდინარე საკითხები.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ ბატონმა თ. ბერიძემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც ერთხმად იქნა დამტკიცებული.

მოისმინეს: სასერთიფიკატო ტრენინგ-კურსის „ლიდერობა-მართვის ხელოვნება“ პროგრამის დამტკიცებისა და მისი ამოქმედების მიზანშეწონილობის შესახებ (იხ. დანართი)

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ი. ნაცვლიშვილი/

მომხსენებელმა ქალბატონმა ია ნაცვლიშვილმა საბჭოს გააცნო ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრის პროფესორების ნ. ხარაძისა და ე. გულუას განცხადება სასერთიფიკატო ტრენინგ-კურსის „ლიდერობა-მართვის ხელოვნება“ პროგრამის დამტკიცებისა და მისი ამოქმედების მიზანშეწონილობის შესახებ.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ნ. თოდუამ, პროფ. ქ. მარშავამ, ასოც. პროფ. ე.ლეკაშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 32;

წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: დამტკიცდეს და მიზანშეწონილია ამოქმედდეს სასერთიფიკატო ტრენინგ-კურსის პროგრამა: „ლიდერობა-მართვის ხელოვნება“.

მოისმინეს: თსუ რექტორის 2013 წლის 25 ნოემბრის #151/01-01 ბრძანების შესაბამისად, ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სტუდენტთა ყოველწლიურ სამეცნიერო ფორუმზე წარდგენილი მოხსენებების შერჩევა ღია კენჭისყრის გზით.

/მომხს. ფაკულტეტის დეკანი თ. ბერიძე/

მომხსენებელმა ფაკულტეტის დეკანმა ბატონმა თ. ბერიძემ საბჭოს წევრებს მიმართა, რომ ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სტუდენტთა ყოველწლიურ სამეცნიერო ფორუმზე წარდგენილი მოხსენებების შერჩევას ღია კენჭისყრის გზით დამსწრეთა ხმათა

უმრავლესობით ახდენს ფაკულტეტის საბჭო. ასევე აღნიშნა, რომ რექტორის ბრძანების მიხედვით ფაკულტეტის საბჭოს მუშაობაში მონაწილეობას ვერ მიიღებენ საბჭოს ის წევრები, რომლებიც წარმოადგენენ ფორუმში მონაწილეობის უფლების მიღების პრეტედენტებს, ან/და პრეტენდენტების სამეცნიერო ხელმძღვანელებს, ან რეკომენდატორებს. თსუ რექტორის 2013 წლის 25 ნოემბრის #151/01-01 ბრძანება ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სტუდენტთა ყოველწლიურ სამეცნიერო ფორუმისათვის ნაშრომების შერჩევისა და ფორუმისათვის წარდგენის შესახებ და ასევე, საკონკურსოდ წარდგენილი ნაშრომები საბჭოს წევრებს დაგზავნილი ქონდათ ელექტრონულადაც.

საკონკურსოდ წარმოდგენილია:

1. **საქართველოს გლობალური კონკურენტუნარიანობა, შედარებითი ანალიზი**

ვახტანგ ჭარაია - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

გიორგი გაფრინდაშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

ირაკლი დოღონაძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 28;

წინააღმდეგი – 0.

2. **ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის საკვანძო საკითხები**

ივ. ჯავახიშვილის თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი: **მარიამ ჯიბუტი**

ხელმძღვანელი: ე.ა.დ., ასისტენტ-პროფესორი ლეილა ქადაგიშვილი

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 16;

წინააღმდეგი – 12.

3. **ენერგეტიკის განვითარების პერსპექტივები საქართველოში**

ავტორი: IV კურსის სტუდენტები: **ნინო კოვზირიძე, მარიამ ლუკაშვილი**

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მ. ჩავლეიშვილი.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 6;

წინააღმდეგი – 22.

დაადგინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საბჭოს მიერ ჩატარებული ღია კენჭისყრის შედეგად გამოვლენილ იქნა ივანე ჯავახიშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი სტუდენტთა ყოველწლიური სამეცნიერო ფორუმის გამარჯვებულები:

1. **საქართველოს გლობალური კონკურენტუნარიანობა, შედარებითი ანალიზი**

   ვახტანგ ჭარაია - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

   გიორგი გაფრინდაშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

   ირაკლი დოღონაძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

2. **ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის საკვანძო საკითხები**

   ივ. ჯავახიშვილის თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი: **მარიამ ჯიბუტი**

მოისმინეს: თსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულებისათვის ხარისხის მინიჭების შესახებ

/ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი ნ. პაპაჩაშვილი/

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 32;

წინააღმდეგი – 0.

დადგინდეს: 1. მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის კურსდამთავრებულს:

დიპლომი ჩვეულებრივი

წიკლაური ალექსანდრე

2. მიენიჭოს ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის აკადემიური ხარისხი 2013-2014 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის კურსდამთავრებულს:

დიპლომი ჩვეულებრივი

ლომსაძე ანა

მოისმინეს: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულების 28-ე მუხლს დაემატოს „ლ“ ქვეპუნქტი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროგრამების განხორციელებისათვის, შესაბამის კათედრასთან ერთად, აუცილებელი უცხოური სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება, ასევე მოძიებული ლიტერატურის თარგმნისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსების შერჩევა, თარგმნის პროცესის ორგანიზება და კოორდინაცია.

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი მ.ლობჟანიძე/

აზრი გამოთქვეს: პროფ. ნ.თოდუა, პროფ. ქ. მარშავამ, ასოც. პროფ. ჩ. ჯაშმა, ასოც. პროფ. ე. ლეკაშვილმა.

ჩატარდა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 31

წინააღმდეგი – 1

დაადგინეს: შევიდეს შესაბამისი ცვლილება ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დებულებაში და 28-ე მუხლს დაემატოს „ლ“ ქვეპუნქტი: ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის პროგრამების განხორციელებისთვის, შესაბამის კათედრასთან ერთად, აუცილებელი უცხოური სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის მოძიება, ასევე მოძიებული ლიტერატურის

თარგმნისათვის შესაბამისი ადამიანური რესურსების შერჩევა, თარგმნის პროცესის ორგანიზება და კოორდინაცია.

მოისმინეს: თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის დოქტორანტ გიორგი ბაქრაძის სწავლის საფასურზე შეღავათის შესახებ

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი მ. ლობჟანიძე/

აზრი გამოთქვეს: პროფ. ს. გელაშვილმა, პროფ. ე. ხარაბაძემ, პროფ. რ. გველესიანმა, პროფ. ქ. მარშავამ.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 32;

წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: თსუ ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის დოქტორანტ გიორგი ბაქრაძის სწავლის საფასურზე შეღავათზე ეთქვა უარი.

მოისმინეს: საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „თანამედროვე ბიზნესი: სიახლეები, პრობლემები“ ჩატარების შესახებ.

/სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი მ. ლობჟანიძე/

მომხსენებელმა ქალბატონმა მანანა ლობჟანიძემ საბჭოს გააცნო ინფორმაცია, რომ მიმდინარე წელს ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრას უსრულდება დაარსებიდან 80 წელი. აღნიშნულ თარიღთან დაკავშირებით კათედრას დაგეგმილი აქვს 3-6 ოქტომბერს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „თანამედროვე ბიზნესი: სიახლეები, პრობლემები“ ჩატარება. კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ როგორც ადგილობრივი, ასევე სხვა ქვეყნის წარმომადგენლები. ზემოაღნიშნული კონფერენციის ფინანსური მხარდაჭერისათვის, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის კათედრა ფაკულტეტის 2014 წლის ბიუჯეტიდან თანადაფინანსების სახით ითხოვს 10 000 ლარს.

აზრი გამოთქვეს: პროფ. ე. ხარაბაძემ, პროფ. ნ. თოდუამ, პროფ. ს. გელაშვილმა.

გაიმართა კენჭისყრა

კენჭისყრის შედეგები: დადებითი – 32;

წინააღმდეგი – 0.

დაადგინეს: საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „თანამედროვე ბიზნესი: სიახლეები, პრობლემები“ ჩატარების თარიღად განისაზღვროს 2014 წლის 3-6 ოქტომბერი. აღნიშნული კონფერენციის ჩატარება დაფინანსდეს ფაკულტეტის ბიუჯეტიდან 10 000 ლარით.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,

ასოცირებული პროფესორი: თ. ბერიძე

ფაკულტეტის მდივანი,

ასოცირებული პროფესორი: ხ. ბარბაქაძე